ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის
ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი წევრის

ალექსანდრე ხუჯაძის

2019 - 2020 წლებში გაწეული სამუშაობის შესახებ

ანგარიში

2020 წელი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ.

2017 წლიდან ალექსანდრე ხუჯაძე გახლავთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეექვსე მოწვევის მაჟორიტარული წესით არჩეული წევრი (ნაძალადევის რაიონი – 20-ე ოლქი), ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, ასევე ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი და იურიდულ საკითხთა და ადამიანური უფლებათა დაცვის კომისიის წევრი, ამასთანავე ბატონი ალექსანდრე 2019 წლის 13 მაისიდან არის თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისის წევრი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის დეპუტატის, ალექსანდრე ხუჯაძის, მიერ 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ოქტომბრის ჩათვლით გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიში

2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ოქტომბრის ჩათვლით გაიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18 სხდომა, მიღებულ იქნა 406 განკარგულება და 140 დადგენილება. დეპუტატმა ალექსანდრე ხუჯაძემ მონაწილეობა მიიღო თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 სხდომის სამუშაო პროცესში.

განვლილი პერიოდის განმავლობაში ფრაქციამ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ჩაატარა 16 სხდომა, რომელზეც განხილული იყო 21 საკითხი. დეპუტატმა ალექსანდრე ხუჯაძემ მონაწილეობა მიიღო ფრაქციის 12 სხდომაში და განიხილა 16 საკითხი.

ფრაქციის სხდომაზე განხილულ იქნა დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ;
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და სამშენებლო რეგულაციების შესახებ;

- ქ.თბილისის მასშტაბით მუნიციპალური ქონების მართვის მიმართულებით არსებული პრობლემების შესახებ;
- ქ. თბილისის ბაგა-ბაღების სურსათით მომარაგებასის შესახებ;
- ღია კაფის მოწყობის მიზნით 150 მოიჯარე წლის ბოლომდე ქირის გადასახადისგან გათავისუფლდების შესახებ;
- სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ;
- დედაქალაქის მაშტაბით რაიონებში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმის პრივატიზების საკითხების შესაბ;
- თბილისის მუნიციპალიტეტის სამაჟორიტარო ოლქებში არსებული პრობლემები;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ახალი სატრანსპორტო პოლიტიკის ზოგიერთი მიმართულების დაგეგმვისა და მათი შესრულების გზების განხილვის შესახებ;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაციის შესახებ;
- ქ. თბილისის საკრებულოში თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განსახილველად ფრაქციის "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" მიერ განსახორციელებელი მოსამზადებელი სამუშაოების დაგეგმვის შესახებ;

კომისიური მუშაობა

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის მიერ გაიმართა 11 სხდომა და განხილულ იქნა 16 საკითხი. კომისიაზე შემუშავებულ იქნა დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი შემდეგი საკითხები:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიმდინარე პროექტების შესახებ;
- დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა;
- ეკონომიკური განვითარების და საქალაქო საგრანტო პროგრამებზე, ბიზნეს-გეგმების ხელშეწყობაზე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ამ მიმართულებით თანამშრომლობაზე;

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ;
- ე.წ. „ხრუშჩოვკების“ ჩანაცვლების საპილოტე პროექტის დაწყების და ამ პროექტის ფარგლებში ხელშეკრულების გაფორმების შესახებ;
- ქ. თბილისის ღამის ეკონომიკის ფარგლებში მიმდინარე პროექტების შესახებ;
- დედაქალაქის სატრანსპორტო კომპანიისა და თბილისის მერიის მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს სატრანსპორტო სქემის, ინფრასტრუქტურასა და შესაბამისი სერვისების განვითარების შესახებ;
- დედაქალაქში სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებების შესახებ;
- საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ,,თბილისის მეტროს პროექტთან'' დაკავშირებით 2020 წლის აპრილში 75 000.000 ევროს ოდენობით შეთანხმებას მოეწერა ხელი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკრებულოს იურიდულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ გაიმართა 19 სხდომა და განხილულ იქნა 399 საკითხი. დეპუტატმა ალექსანდრე ხუჯაძემ მონაწილეობა მიიღო კომისიის 16 სხდომაში და განიხილა 117 დადგენილება და 220 განკარგულება. კომისიაზე შემუშავებულ იქნა დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი შემდეგი საკითხები:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
- „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტისათვის“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულების შესახებ;
- ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესში ცვლილებები იქნა განხილული, რომელიც თანამონაწილეობის პროცენტის 10-იდან 5-მდე შემცირებას ითვალისწინებს;
- საანგარიშო პერიოდში 15 სხვადასხვა დაუმთავრებელი მშენებლობის მიმართ გამოყენებულ იქნა ხელშემწყობი ღონისძიებები, რომლის ფარგლებში 6000-მდე დაზარალებული ოჯახი ახალი ინვესტორის მიერ დაკმაყოფილდება. მათ შორის ხელშემწყობი ღონისძიებები შეეხო ისეთი კომპანიების მიერ დაზარალებულ პირებს, როგორებიცაა ,,სვეტი“, ,,ოლიმპიური ვარსკვლავი“, ,,ცენტრ პოინტი“ და სხვ.

- „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ მიკროავტობუსების შესყიდვის საკითხის შესახებ;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ეკონომიკური საქმიანობის მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მიმღებ პირთა ქირის გადახდისგან გათავისუფლება (შეღავათი შეეხო 500-მდე მოქმედ ხელშეკრულებას);
- მიმდინარე პერიოდში კომისიის სხდომაზე მხარდაჭერილი იქნა ქონებათა გადაცემის საკითხები, რომელთა ფარგლებში 550-მდე ოჯახს მრავალწლიანი ლოდინის შემდეგ დაუკანონდა მათ სარგებლობაში არსებული ფართები.

თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისის წევრი

საანგარიშო პერიოდის ფარგლებში გაიმართა 54 სხდომა და განხილულ იქნა 3087 საკითხი და მაჟორიტარმა მონაწილეობა მიიღო 28 სხდომაში.

ქ.თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონი ალექსანდრე ხუჯაძის,საქმიანობის ანგარიში სამაჟორიტარო რაიონში

ქ.თბილისის ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონი ალექსანდრე ხუჯაძის, წარმომადგენლობა ფუნქციონირებს 2018 წლის 20 თებერვლიდან. 2019 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით წარმომადგენლობაში გაიმართა 41 ოფიციალური შეხვედრა, სადაც მაჟორიტარმა შეხვედრა გამართა 562 მოქალაქესთან, ამასთანავე მოქალაქეთა მომართვიანობა არის საკმაოდ მაღალი, განვლილი პერიოდის განმავლობაში წარმომადგენლობაში კონსულატია გაეწია 1500-ზე მეტ პიროვნებას, შესაბამისად, მაჟორიტართან შეხვედრებისა და წარმომადგენლობაში მომართვიანობის ფარგლებში 664 შუამდგომლობა იქნა გაგზავნილი სხვადასხვა უწყებაში და სიტყვიერი შუამდგომლობა გაუწია ბატონმა ალექსანდრემ 200-ზე მეტ პიროვნებას. სოციალური საკითხის მიმართულებით მოქალაქეთა ძირითადი მომართვიანობა დაკავშირებულია მედიკამენტების, ოპერაციებისა და სხვადასხვა თერაპიული პრობლემის მოგვარებასთან, შესაბამისად, გაწეული შუამდგომლობების 90% იქნა დაფინანსებული სხვადასხვა უწყების მიერ. აღსანიშნია ის ფაქტი, რომ მაჟორიტარმა და საკრებულოს წარმომადგენლობის თანამშრომლებმა 50-ზე მეტი შეხვედრა

გამართეს ნაძალადევის N20-ე ოლქში სხვადასხავა ლოკაციაზე, სადაც 1000-ზე მეტ მოქალაქესთან გაიმართა შეხვედრა, შესაბამისად, განხილულ იქნა მოქალქეების მიერ მოწოდებული პრობლემები. ამასთანვე, ბატონმა ალექსანდრე ხუჯაძემ ქვეყანაში არსებული პანდემიის ფარგლებში, 500 - ზე მეტ ოჯახს პირადად გადასცა საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების ნივთები.

ინფრასტრუქტურული საკითხები

დეპუტატ ალექსანდრე ხუჯაძის რეკომენდაციით, 2019-2020 წლის ბიუჯეტში შესაძლებლობის ფარგლებში ასახული იქნა ყველა ის პრობლემური მისამართი, სადაც წლების განმავლობაში ვერმოხერხდა გზის საფარის, დამჭერი კედლების რებილიტაცია და სხვა ინფრასრტუქტურული პროექტების შესრულება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში **საგზაო ინფრასტრუქტურა** მოწესრიგდა შემდეგ მისამართებზე :

- ვარდისუბნის ქუჩა #6 - ის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 158 741.66 ლარი;
- სანზონა კორპ # 1 - ის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 6203.33 ლარი;
- დ. გურამიშვილის გამზ. # 37-38 კორპ. მიმდებარედ, პროექტის ღებულებამ შეადგინა 44 753.37 ლარი;
- რატევანის ქუჩის რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 153 417.75 ლარი;
- სანზონა, კორპ. 2-ის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 95 239.90 ლარი;
- სასტუმრო თბილისის ზღვის მიმდებარედ (უცნობ გმირთა ქუჩა #140) პროექტის ღირებულებამ შეადგინა 92 285.87 ლარი;
- სანზონა, მე-12 კორ. მიმდებარედ, პროექტის ღირბულებამ შეადგინა 14 944.31 ლარი;
- ზარაშვილის ქუჩის ქვედა ნაწილი, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 88 685.32 ლარი;
- გვაზაურის მე-2 გასავალის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 81 057.52 ლარი;

- სანზონა, #27-ე კორპ მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 34 283.4 ლარი;
- ფეიქრების ქუჩა #14-ის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 57 521.02 ლარი;
- დ. გურამიშვილის გამზ. კორპუსი #35ა-ს მიმდებარედ (ორმოული და ფრაგმენტული შეკეთების სამუშაო), პროექტის ღირებულებამ შეადგინა 6 740.73 ლარი;
- არბოს ქუჩა კორპ. #1-ის მიმდებარედ (ორმოული და ფრაგმენტული შეკეთების სამუშაო), პროექტის ღირებულებამ შეადგინა 11 594.10 ლარი;
- არბოს ქუჩა #18-ის მიმდებარედ (ორმოული და ფრაგმენტული შეკეთების სამუშაო), პროექტის ღირებულებამ შეადგინა 10 136.46 ლარი;
- ჩარგლის ქუჩა #63-ის მიმდებარედ (ორმოული და ფრაგმენტული შეკეთების სამუშაო), პროექტის ღირებულებამ შეადგინა 2519.94 ლარი;
- გვაზაურის მე-2 შესახვევი (#57 - დან ზემოთ), პროექტის ღირებულებამ შეადგინა 113 908.55 ლარი;
- ზიგზაგის ქუჩა #2 - ის მიმდებარედ, პროექტის ღირებულება 14 268.39 ლარი;
- ქვიშხეთის ქუჩა #16-ის და # 35-31 -ის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 95 814.18 ლარი;
- ლიახვის ქუჩის ჩიხების რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 34 907.71 ლარი;
- გუდამაყრის ქუჩა #2ა-ს მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 19 956.1 ლარი;
- თიანეთის ქუჩა #123-ის მიმდებარედ (ორმოული და ფრაგმენტული შეკეთების სამუშაო), პროექტის ღირებულებამ შეადგინა 7342.4 ლარი;
- გუდამაყრის ქუჩისა და ხორნაბუჯის ქუჩის კვეთის მიმდებარედ (ორმოული და ფრაგმენტული შეკეთების სამუშაო), პროექტის ღირებულებამ შეადგინა 819.96 ლარი;
- რატევანის ქუჩის დასაწყისი, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 15 495.21 ლარი;
- ჩარგლის ქ. #79ა -ს მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 71 764.40 ლარი;
- ჩარგლის ქ. #25 კორპუსის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 42 353.54 ლარი;
- ჭოპორტის ქ. #5 - ის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 50 379.19 ლარი;

- დ. გურამიშვილის გამზ. #35,37,39 - ის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 93 162.22 ლარი;
- ბუაჩიზის ქუცა #114-ე სკოლის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 46 012.34 ლარი;
- გუდამაყრის ქ. #6 - ის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 11 216.80 ლარი;
- მუხრანის ქუჩა კორპ. #7 - ის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 10 286.68 ლარი;
- უცნობ გმირთა ქუჩის ავტობუსის გაჩერების მოსაწყობად საგზაო ინფრასტურქურის პროექტის საფასურმა შეადგინა 34 719.16 ლარი;
- დ. გარეჯელის ქუჩის #53 და #55 ის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 22 842.21 ლარი;
- გურამიშვილის გამზ. 39ბ, ვ კორპუსის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 92 101.69 ლარი;
- სადმელის ქუჩის სრული რეაბილიტაცია, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 583 000 ლარი;

აღნიშნული პროექტებზე ჯამური თანხა შეადგენს, ლარი: 2 204 207.02

მოქალაქეთა მომართვიანობისა და საჭიროების აუცილებლობის გათვალისწინებით, **გზის დამჭერი კედლების** სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა შემდგე ლოკაციებზე:

- დ.გურამიშვილის გამზ.#31-ის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 35 264.32 ლარი;
- კვერანულის ქუჩის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 71 658.58 ლარი;
- ხევისუბნის ქუჩა #31 - ის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 16 347.45 ლარი;

მიწისქვეშა კომუნიკაციების პრობლემური საკითხები

- სანზონა N2 კორპ. მიმდებარედ (სანიაღვრე ქსელი), პროექტის ღირებულებამ 21 774. 18 ლარი შეადგინა;
- გვაზაურის მე-2 შესახევი, #58-ის მიმდებარედ (სანიაღვრე ქსელი), პროექტის ღირებულებამ შეადგინა 61 659.9 ლარი;

- ჟველაურის ქუჩა #31 - ის მიდებარედ (სანიაღვრე ქსელი), პროექტის ღირებულებამ შეადგინა 11 33.62 ლარი;
- ტიბაანის ქუჩის გასასვლელი, #15 - ის მიმდებარედ (სანიაღვრე ქსელი), პროექტის ღირებულებამ შეადგინა 6 713.06 ლარი;
- არბოს ქ. #2-ის მიმდებარედ (სანიაღვრე ქსელი), პროექტის ღირებულამ შეადგინა 9 682.51 ლარი;

სულ არსებულ ლოკაციებზე პრობლების აღმოსაფხვრელად გამოყოფილ იქნა ---- ლარი.

სკვერები

- გურამიშვილის გამზირი #39ა - ს მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 1 3 037.43 ლარი;
- სანზონა, #16 კორპუსის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 55 724.14 ლარი;
- სანზონა #18 კორპუსის მიმდებარედ, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 116 865.67 ლარი;

სტადიონები, საბავშვო ატრაქციონები და სავარჯიშო ტრენაჟორები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ფიტნეს ტრენაჟორები მოეწყო ხუთ ლოკაციაზე, კერძოდ:

- ზიგზაგის ქუჩის ბოლოს მონაკვეთის მიმდებარედ;
- სანზონა, მე-4 კოპრუსის მიმდებარედ;
- ქსნის ქუჩა #12-ის მიმდებრედ;
- ჩარგილის ქ. #48 - ის მიმდებარედ;
- დ.გურამიშვილის გამზ. #25-ის მიმდებარედ;

საბავშვო ატრაქციონი

საბავშვო ატრაქციონები მოეწყო შემდეგ მისამართებზე:

- ქვიშხეთია ქ. კოპრ #2-3-4 - ის მიმდებრედ;
- ბარამიძის ქ. #7-ის მიმდებარედ;

- ერწოს ქ. 4 კორპ #3 -ს მიმდებარედ;
- სანზონა კორპ #10 - ის მიმდებარედ;
- დ. გურამიშვილის გამზ #12ა, კორპ #5 - ის მიმდებარედ;
- არბოს ქუჩა „ა“ კორპუსის მიმდებარედ;
- ქვიშხეთის ქ. კორპ. # „ა'' - ს მიმდებარედ;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა

საანგრიშო პერიოდის განმავლობაში ნაძალადევის რაიონში, კერძოდ, სამაჟორიტარო ოლქში, რაიონის გამგეობასთან კოორდინირებული მუშაობით თანადაფინანსდა შემდეგი პროექტები:

- ლიფტი - 27 ლოკაციაზე მოეწყო;
- წყალკანალიაზია მოწესრიგდა - 15 მისამართზე;
- წყალსაწრეტი მილები მოწესრიგდა - 11 მისამართზე;
- ბრტყელი სახურავი მოეწყო - 9 მისამართზე;
- ქანობრივი სახურავი - 3 მისამართზე;
- სენსორული განათება დამონტაჟდა - 3 მისამართზე;
- შენობის კაპიტალური გამაგრება ჩატარდა - 1 მისამართზე;
- სადარბაზოს ცენტრალური კარები მოეწყო - 6 მისამართზე;
- სადარბაზოს რემონტი განხორციელდა - 3 მისამართზე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი წევრი ალექსანდრე ხუჯაძე და მისი წარმომადგენლობა კვლავ აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად. მოქალაქეებთან ერთად პრიორიტეტების განსაზღვრა და ერთობლივი ძალისხმევით პრობლემების მოგვარება მაჟორიტარის უმთავრესი ამოცანა იქნება.

პატივისცემით,

ალექსანდრე ხუჯაძე